ხელშეკრულება №-19

ქ. ბათუმი 25 ოქტომბერი 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „ლაშვარდი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით, შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული და მეორეს მხრივ სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქედქედის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ გენად შაშიკაძის სახით, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი თანახმაა დამკვეთს კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების კოდის 35100000 (საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები) თანახმად მიაწოდოს:

1) 2 ცალი ცეცხლმაქრი CO2 2,2 კგ (ოუ-4)- ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 120 ლარს დღგ-ის ჩათვლით,
2) 2 ცალი ცეცხლმაქრი ფხვნ.ABC 5კგ(ოპ-5), ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 120 ლარს დღგ-ის ჩათვლით,
3) 2 ცალი საევაკუაციო გეგმა , ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 60 ლარს დღგ-ის ჩათვლით,

სახელმწიფო შესყიდვების კოდის 75251100 (ხანძარსაწინააღმდეგო მომსახურებები) თანახმად შეუსრულოს:

1) 4 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთების სამუშაო, ერთი ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთების სამუშაოს ღირებულება შეადგენს 15 ლარს დღგ-ის ჩათვლით,
2) 4 ცალი ცეცხლმაქრის გადამუხტვის სამუშაო, ერთი ცალი ცეცხლმაქრის გადამუხტვის სამუშაოს ღირებულება შეადგენს 30 ლარს დღგ-ის ჩათვლით,

ხოლო დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანად სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 780(შვიდაოთხმოცი) ლარს დღგ-ის ჩათვლით.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის (ანგარიშფაქტურის)) გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

2.3. დამკვეთი ახდენს ანგარიშსწორებას მომსახურების შესრულების შემდეგ შემსრულებლისაგან წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

2.4. მომსახურების მიღების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

2.5. დამკვეთი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ხარისხის მითითებით.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით დოკუმენტების გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობით შესწორების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

5.1 შემსრულებელმა შემკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებელ ვადებში არ შეუძლია შეუსრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე დავალება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. გადასახადი და ბაჟები

12.1. შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. სხვა პირობები

13.1. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისაგან შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა და სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას მიყენებული ზიანის მთლიანი ანაზღაურება.

13.2. შემსრულებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს დამკვეთის ქონებას სამუშაოს წარმოებისას.

13.3. შემსრულებელი პასუხს აგებს დამკვეთის ქონების დაზიანებისას გაუფრთხილებლობის დროსაც.

13.4. შემსრულებელს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაზიანების რისკი დამკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევით დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა დამკვეთი აყოვნებს მიღებას.

13.5. სამუშაოს შესრულებამდე გაწეული ხარჯები ეკისრება შემსრულებელს.

13.6. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
სსიპ სოფ. ქედქედის საჯარო სკოლა	შპს „ლაშვარდი"
მის: ხელვჩაურის რ-ნი, სოფ. ქედქედი საიდენტ. № 248 386 802	მის: ქ. ბათუმი, ლეონიძის 6ა/21 საიდენტ. №245 619 763 ანგარიშის № GE 37 BG 0000000131808400 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE 22
დირექტორის მ/შ: გ. შაშიკაძე	დირექტორი: ფ. მგელაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სოფ. ქედქედი

25 ოქტომბერი 2013 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლისა და შპს,, ლაშვარდ''-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19 (25/10/2013წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ /გ. შაშიკაძე/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის

დირექტორის მოადგილე /ნ. მსხალაძე/